საიდუმლო მტერნი

როდესაც ქალები ვითხოვთ ..... მოქალაქეობრივ უფლებას განსაკუთრებულ ყურადღებას მოვითხოვთ მადგან, ვინც აღიარებს საყოველთაო და თანასწორი არჩევანთა უფლების საჭიროებას, რადგან არ შეიძლება საყოველთაო და თანასწორი დაერქვას იმ არჩევნებს, სადაც სახელმწიფოს მცხოვრებთა ნახევარი ნაწილი სწორ-უფლიან მოქალაქეთ არ ირიცხება. ადამიანების ორ ბანაკათ დაყოფა, სადაც ერთი ნაწილი მეორეს ბატონი და მმართველი იქნება არის უდიდესი სიავე და წყარო ყოველგვარ უსამართლობისა და უზნეობისა. ჩვენი მიზანია ვებრძოლოთ ამ სიავეს რათა დავიხსნათ თავი მონობისაგან და კაცობრიობა გადაგვარებისაგან.

მიზანი ჩვენი იმდენათ საფუძვლიანია, რომ ქალთა უფლების აშკარა მტერთა მიერ წამოყენებული არგუმენტები ვერ უძლებენ ვერავითარ საღ კრიტიკას.

ზოგი მათგანი ამბობს: „ქალებს ისტორიულად არასდროს არა ჰქონიათ ერთნაირი უფლება მამაკაცებთან და ვერც მიიღებენო. მამაკაცები ფიზიკურად ძლიერი სქესია, ამისათვის დედაკაცებთან იურიდიულად ყოველთვის მაღლა იქნებიან" და სხვ.

პირველი მოსაზრება რომ დედაკაცებს ისტორიულად არა ჰქონიათ სწორუფლებიანობა და ამისათვის ვერასოდეს ვერ უნდა ეღირსონ, ისეთი ცრუმორწმუნოება, რომელიც ადამიანის პიროვნულ განვითარებას დროსა და სივრცეს კი არ უფარდებს არამედ ძველს დახავსებულ ტრადიციებსა და ჩვეულებას.

იმისი თქმა, რომ „ეს ასე იყო და ასე უნდა დარჩეს" ეწინააღმდეგება ყოველგვარ მეცნიერულ კვლევა ძიებას და ადამიანი, რომელიც ასეთ შეხედულობას იცავს არის მტერი პიროვნული თავისუფლებისა.

მეორე მოსაზრება, რომ ფიზიკურად ღონიერი სქესი იურიდიულათაც მაღლა იდგეს, თუ რომ რაიმე გასამართლებელს საბუთს პოულობდა წასულში, როცა საზოგადო ცხოვრება მუშტის ძალაზე იყო დამყარებული, დღეს ამ მოსაზრებას კულტურისა და გონებრივი პროგრესის წინსვლამ ყოველი საფუძველი გამოაცალა.

ხმლისა და მუშტის ბატონობამ დიდი ხანია მისდამი ზიზღით აღჭურვა უკეთესი მოაზროვნე კაცობრიობისა, რომელის შედეგათ წარმოიშვა დემოკრატიული მოძრაობა და განამტკიცა პოლიტიკური სწორუფლიანობა მოწინავე ქვეყნებში.

და თუ დედაკაცი ისევე ძველებურათ მონობაში დარჩა უფლებრივად, ამის მიზეზი დევს იმ დროინდელს ქალთა კარჩაკეტილ ცხოვრებაში, რომლიაც მოუსწრო მათ დემოკრატიულმა რევოლუციამ და მათ საყოველთაო მონობაში და არა დედაკაცის პოლიტიკურ უნიჭოებაში. დედრობითი სქესი იყო მთლიანათ დამონებული, რომელთ ადამიანურს პიროვნებას მაღლიდინ დასცქეროდა, როგორც ბატონი ისე მონა მამაკაცი და რამდენათ იმ დროინდელი კარჩაკეტილი ცხოვრება ხელს უშლიდა დედაკაცებს შეერთება და საკუთარ ნაბიჯის გადადგმას, იმდენათ ისინი განცალკევებულ ღებულობენ მონაწილეობას საერთო დემოკრატიულ მოძრაობაში. საკუთარი „მეს" გამოუჩენლობით და უპიროვნო დახმარებით, რომელსაც ქალები უწევდნენ ყოველგვარ ისტორიულ მოძრაობაში მამაკაცებს, დედაკაცები რჩებოდა იმ პოლიტიკურ და სოციალურ რეფორმების გარეთ, რომელსაც იწვევდა საერთო დემოკრატიული ბრძოლა.

უპირატესობას თავის თავათ ძნელად თუ ვინმე შეელევა და გუშინ მონა, მაგრამ დღეს უკვე თავისუფალმა მოქალაქეებმა დაივიწყეს დედრობითი სქესის ადამიანური პიროვნება და შეინარჩუნეს ძველებური მათზე პრივილეგიების უფლებრივაღ. თანამედროვე ქალებმა, რომლის შეგნებული ნაწილი დღეს საკუთარი ლოზუნგით გამოდის დიდი ხანია შეიგნეს უშედეგობა თავიანთი სქესის უპიროვნო ბრძოლისა და დღეს მე-20 საუკუნის რევოლუციის და ომის დროს ესენი ხელს უწყობენ რა მებრძოლ მამაკაცებს. თავიანთ ინტერესებსაც არ ივიწყებენ, საკუთარი დროშით გამოდიან, რომელზედაც ქალთა ემანსიპაცია აწერია და რომლის ქვეშ თავმოსაყრელათ მოუწოდებენ დამონებულ დებს განურჩევლად ეკონომიური კატეგორიისა. მწარე მაგალითებმა მიიყვანეს დედაკაცები ამ სწორ გზაზე, თავიანთი ადამიანური პიროვნების აღსადგენათ და ვინც მათ შეაკავშირებს ხელს უშლის და სცდილობს დღეს, ამ დიდ რევოლუციის დროს რუსეთის სახელმწიფოში მცხოვრებ პროგრესულ ქალთა ძალების დაქსაქსვას, ის არის შეგნებული თუ შეუგნებელი საოდუმლო მტერი ქალთა სწორუფლებიანობისა, რომელნიც გაცილებით მეტს საფრთხეს წარმოადგენენ ჩვენი პიროვნული აღდგენისათვის, ვიდრე აშკარა მოწინააღმდეგენი ქალთა ემანსიპაციისა.

1917 წელი, # 5